დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 6

ქ. დმანისი 17 მაისი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2 .აზერ ალიევი
3. ილია სარსევანიძე
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. ლერი ბერუაშვილი
6. მურაზი აბრამიშვილი
7. მაკა ასლანიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. შალვა ღამბარაშვილი
10. შოთა აკობაშვილი
11. შახინ კოიალოვი
12. სტამბულ ისაევი
13. გამლეტ ისმაილოვი
14. ემილ იბრაგიმოვი
15. მერაბი ფოლადაშვილი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. გუმბათ იუსუბოვი
18. გუსეინ ისმაილოვი
19. თორნიკე ნინიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. ლევან მოსეშვილი
2. შახინ გასანოვი
3. მაია ციხელაშვილი
4. გურანდა ქოჩორაძე
5. კახა დევნოზაშვილი
6. რამიზ რამაზანოვი
7. ოლეგი გოშუანი
8. მიხეილ დაუთაშვილი
9. თეიმურაზ აფრასიძე (საპატიო)
10. კახა ოქრიაშვილი (საპატიო)
11. ლეილა მიქიანი (საპატიო)

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 20
დღის წესრიგი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვლმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 მაისის N787 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების განხორციელებისათვის დანართი N48-ში მითითებული სამუშაოებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2199454 ლარი ნაცვლად 2065717 ლარის ანუ ჯამში ზრდამ შეადგინა 133737 ლარი.აღნიშნულ განკარგულებაში შეტანილი ცვლილების განხორციელებისას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საგზაო ინფრასტრუქტურის კოდში გათვალისწინებული თანხა შემცირდა 66263 ლარით,ხოლო წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციისათვის თნხა გამოიყო 200000 ლარი,რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელებში შემდეგ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020102 „გზების მშენებლობა რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2141,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 2075,6 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 66,3 ათასი ლარით,ხოლო ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 157,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 357,8 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 200,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 მაისის N786 განკარგულების საფუძველზე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების თანახმად დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 370.0 ათასი ლარი,რომელიც შესაბამისად ასახული იქნა ორგანიზაციულ კოდი 020402 „ავარიული ობიექტების (შენობების) რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 146.0 ათასი ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლში 224.0 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 მაისის Nგ-.109221235 განკარგულებით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220252 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება შემდეგ ორგანიზაციულ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020401 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1445.0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1718.0 ათასი ლარის ოდენობით ანუ ზრდამ შეადგინა 273.0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020501 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3697,1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 3727,6 ათასი ლარის ოდენობით,(მათ შორის 1620,6 არის მ.გ.ფ.-ის თანხა) ანუ ზრდამ შეადგინა 30,5 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020102 „გზების მშენებლობა -რეაბილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი1565,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1261,5 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 303.5 ათასი ლარით და მიმართული იქნა ზემოთ აღნიშნულ კოდში.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 26373.5 ათასი ლარი. ათასი ლარის ოდენობით

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

2.მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ჰიდრანტები) საქართველოს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, სადაც მუნიციპალიტეტის მერისათვის საჭიროა საკრებულოსაგან თანხმობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რათა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 180 ერთეული ჰიდრანტი, ღირებულებით 31252 ლარი, გადაეცეს თხოვების ფორმით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს , აღნიშნული ქონების გადაცემის თაობაზე.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

3. **მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური''-სათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიიდან წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, საჭიროა, საკრებულოს თანხმობა მიეცეს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, რათა გადასცეს უსასყიდლოდ, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გაზონის სათიბი მანქანა სტარტერით, ბენზინის ძრავაზე 548 SWE 5INI, საბალანსო ღირებულებით 1565 (ერთი ათას სამოცდახუთი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს , აღნიშნული ქონების გადაცემის თაობაზე.

მომხრე: 19

წინაღმდეგი:

სხდომის საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი